ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
გარემოს დაცვისა და ბუნებრივი
რესურსების სამმართველო

G E O R G I A
Directorate for Environment and
Natural Resources of
Ajara Autonomous Republic

6010, ქ. ბათუმი, ვახტანგ გორგასალის ქ. №124
№ 124, Vakhtang Gorgasali st., Batum, 6010

ტელ: (0422) 27 35 91 ფაქსი: (0422) 27 35 90
Tel: (0422) 27 35 91 Fax: (0422) 27 35 90

N 08/368
01/07/2022

368-08-2-202207011727
https://edocument.ge/AdjaraGov/public

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საბჭოს წევრს ბატონ გია აბულაძეს

ბატონო გია,

თქვენი 2022 წლის 20 ივნისის №09-02-16/368 კორესპონდენციის პასუხად გაცნობებთ, რომ „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის შესაბამისად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშის შეთანხმებას. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის და ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშის შემუშავებას უზრუნველყოფს საქმიანობის სუბიექტი, ხოლო როგორც მის შესრულებაზე ასევე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურების სახელმწიფო კონტროლსა და ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი.

აქვე გაცნობებთ, რომ ნავთობის სუნის პრობლემასთან დაკავშირებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს

საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოში 2022 წლის 1 იანვრიდან - დღემდე განცხადება არ შემოსულა.

პატივისცემით,

ჯემალ ნაკაშიძე

სამმართველოს უფროსი